

საერთაშორისო ეკონომიკა III, IV კურსი
(ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)
I, II სემესტრი. 2018-2019 წელი
(ფინალური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგად ეკონომიკის რომელი ტიპები ჩამოყალიბდა?

აირჩიეთ ერთი:

- a. სამრეწველო
- b. მესაქონლეობითი
- c. ყველა ჩამოთვლილი
- d. მიწათმოქმედებითი

კითხვა 2

დღეისათვის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში როგორი ბაზრის შექმნის ტენდენცია შეინიშნება?

აირჩიეთ ერთი:

- a. საქონლის ბაზრის
- b. პლანეტარული ბაზრის
- c. საფინანსო ბაზრის
- d. შრომისა და კაპიტალის ბაზრის

კითხვა 3

მშპ-ს რა ნაწილი უნდა დახარჯოს ქვეყანამ საკუთარი ბუნების დაცვაზე?

აირჩიეთ ერთი:

- a. 5 %
- b. 2 %
- c. 1 %
- d. 3 %

კითხვა 4

რას ემყარება საერთაშორისო ვაჭრობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ურთიერთსარგებლიანობის პრინციპსა და შრომის საერთაშორისო დანაწილებას
- b. ქვეყანათა ეკონომიკურ განვითარებას
- c. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას
- d. საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობას

კითხვა 5

აღამ სმითი ქვეყნებს შორის როგორი სახის ურთიერთობას ქადაგებდა?

აირჩიეთ ერთი:

- a. თავისუფალი ვაჭრობის
- b. ინვესტიციების შემოღების
- c. მაღალი საბაჟო და სატარიფო გადასახადების დაწესების
- d. დაბალ საბაჟო და სატარიფო გადასახადების დაწესების

კითხვა 6

„გლობალური სტრატეგიული კონკურენციის თეორიის“ თანახმად, რის საფუძველზე იღებს კომპანია დამატებით უპირატესობას?

აირჩიეთ ერთი:

- a. პროდუქციის ვაჭრობით
- b. მარკეტინგული სტრატეგიით
- c. მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვით
- d. წარმოების მასშტაბის გადიდებით და პროდუქციის დივერსიფიკაციით

კითხვა 7

საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტია

აირჩიეთ ერთი:

- a. მატერიალური ნივთები
- b. მომსახურება
- c. ინტელექტუალური საკუთრება
- d. ყველა პასუხი სწორია

კითხვა 8

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება
- b. მსოფლიო ბაზარზე ტნკ-ის საქმიანობის გააქტიურება
- c. საავტორო უფლებების გადაცემა
- d. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება

კითხვა 9

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპი არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. არადისკრიმინაციის პრინციპი

- b. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი
- c. პრეფერენციის პრინციპი
- d. `ახალი ინდუსტრიული ქვეყნების` ვაჭრობის სრულყოფის პრინციპი

კითხვა 10

რამდენი სახის კაპიტალი არსებობს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ოთხი სახის
- b. ხუთი სახის
- c. სამი სახის
- d. ორი სახის

კითხვა 11

მოქმედების ვადის მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სამეწარმეო და სასესხო
- b. მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი
- c. სახელმწიფო და კერძო
- d. პირდაპირი და პორტფელური

კითხვა 12

რომელია მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით?

აირჩიეთ ერთი:

- a. შეზღუდვების მინიმიზაცია და კომპენსაციის გარეშე ნაციონალიზაციის დაუმშვებლობა
- b. უცხოური ინვესტიციებისთვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება
- c. დონორი ქვეყნებისადმი არადისკრიმინაციული მიდგომა
- d. ყველა პასუხი სწორია

კითხვა 13

რომელი განმარტებაა მართებული? ემიგრაცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ადამიანების იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში
- b. უცხო ქვეყნიდან საკუთარ სამშობლოში ადამიანების დაბრუნება
- c. ადამიანების გადაადგილება ეროვნული ქვეყნის შიგნით
- d. უცხო ქვეყანაში ადამიანების ტურისტული მოგზაურობა

კითხვა 14

სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის დადებითი შედეგი არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება
- b. მიმღებ ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის წარმოშობა
- c. საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა
- d. წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება

კითხვა 15

საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის წყაროებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. ხელშეკრულებები უსასყიდლო დახმარების შესახებ
- c. საერთაშორისო ხელშეკრულებები ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ
- d. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული დახმარების შესახებ

კითხვა 16

გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება, შესაძლებელია:

აირჩიეთ ერთი:

- a. დაზღვევის ეფექტური სქემების შემუშავებით.
- b. საზღვარგარეთ ინტელექტუალური საკუთრების ირიბი დაცვით.
- c. ორმხრივ შეთანხმებათა რაოდენობის შემცირებით.
- d. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გამოყენებით.

კითხვა 17

ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების საერთაშორისო გაცვლა არ ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეკოლოგიური მექანიზმებით.
- b. ფინანსური მექანიზმებით.
- c. ინსტიტუციური მექანიზმებით.
- d. სამართლებრივი მექანიზმებით.

კითხვა 18

აბრევიატურა C2C ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ინტერნეტით ფირმების ურთიერთკავშირს.

- b. ინტერნეტით მომხმარებლების ურთიერთკავშირს.
- c. ინტერნეტით ფირმის კავშირს მომხმარებელთან.
- d. ინტერნეტით მომხმარებლის კავშირს ფირმასთან.

კითხვა 19

ლიცენზია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ხელშეკრულებითი ურთიერთობა, რომლითაც საწარმოები ხელს უწყობენ საქონლის წარმოებასა და გასაღებას.
- b. პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას.
- c. ნებართვა რაიმე საქმიანობის გარკვეულ საზღვრებში განსახორციელებლად.
- d. მანქანა-მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის და სხვათა გრძელვადიანი იჯარა.

კითხვა 20

რა შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს კერძო ლიცენზიის გამცემის მიერ ლიცენზიის მიმღების მიმართ?

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. ლიცენზიარისაგან ნედლეულის შესყიდვის ვალდებულება.
- b. ლიცენზიის განადგურება.
- c. ლიცენზიის დამალვა.
- d. ლიცენზიის განსაზღვრულ ტერიტორიაზე გამოყენება.

კითხვა 21

ლიზინგის მიმღების ვალდებულება არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. გამოიყენოს ლიზინგის ობიექტი მეწარმეობითი საქმიანობისათვის.
- b. მესაკუთრესთან შეთანხმებით, ქველიზინგით გადასცეს ლიზინგური ქონება.
- c. მიიღოს ლიზინგის ობიექტი.
- d. დაიცვას ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციის ინსტრუქცია.

კითხვა 22

ეკონომიკური ინტეგრაცია არის :

აირჩიეთ ერთი:

- a. ეროვნული მეურნეობების დაახლოების იძულებითი პროცესი.
- b. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ბუნებრივი პროცესი.
- c. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ხელოვნური პროცესი.

- d. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ნებაყოფლობითი პროცესი.

კითხვა 23

რომელ ქვეყნებშია უმეტესად გავრცელებული კათოლიკური მიმდინარეობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. საქართველო, რუსეთი, ბელარუსი.
- b. ისრაელი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.
- c. იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია.
- d. გერმანია, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი.

კითხვა 24

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის მიზანია:

აირჩიეთ ერთი:

- a. თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ეკონომიკური ზონის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა.
- b. ინდუსტრიის განახლება-მოდერნიზაცია.
- c. პროდუქციის სარეალიზაციო ფასების შემცირება.
- d. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფართო რეკლამირება.

კითხვა 25

რომელია მართებული ფორმულირება? თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ადგილობრივი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს:

აირჩიეთ ერთი:

- a. გაფართოებული სამეურნეო დამოუკიდებლობა, მართვის განსაკუთრებული რეჟიმი და მეწარმეებისათვის საქმიანობის შეღავათიანი პირობები.
- b. არც ერთი ჩამოთვლილთაგანი.
- c. ავტონომიური რეჟიმი და დეფაქტო მმართველობა.
- d. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.

კითხვა 26

ოფშორული ზონები არ გამოირჩევიან :

აირჩიეთ ერთი:

- a. საბანკო ანგარიშების კონფიდენციალურობის მაღალი ხარისხით.
- b. სარეგისტრაციო პროცედურების სირთულით.
- c. საშემოსავლო გადასახადების გაუქმებით.
- d. სავალუტო კონტროლის არარსებობით.

კითხვა 27

ოფმორულ ბიზნესში რომელი მიმართულებით არის განსაკუთრებით აქტიური აშშ?

აირჩიეთ ერთი:

- a. ოფმორულ ზონაში სამხედრო-საწვრთნელი ბაზების განლაგების საკითხში.
- b. ოფმორულ ზონაში ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხში.
- c. ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების და ამ მიზნით ოფმორული ბიზნესის გამოყენების გამოამკარავების საკითხში.
- d. ოფმორულ ზონაში საბაჟო ბარიერების გამკაცრების საკითხში.

კითხვა 28

ივანე ჯავახიშვილს აზრით, რა ეწოდებოდა ვაჭართა წყობილების უფროსს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ვაჭართუხუცესი.
- b. ჩარჩ-ვაჭარი.
- c. ქორ-ვაჭარი.
- d. ბურჟუა-ვაჭარი.

კითხვა 29

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელი კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველო?

აირჩიეთ ერთი:

- a. თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
- b. უპირატესად არათავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
- c. უპირატესად თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.
- d. არათავისუფალი ეკონომიკის ქვეყნებს.

კითხვა 30

რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება სხვადასხვა სახელწოდებით გაფორმდეს, კერძოდ, თვით ხელშეკრულება, შეთანხმება, ოქმი, კონვენცია, პაქტი, კომუნიკე და სხვ.
- b. საერთაშორისო ხელშეკრულება არის როგორც ვადიანი, ისე უვადო.
- c. ხელშეკრულებას, გაფორმებულს წერილობითი ფორმით ეწოდება ჯენტლმენური შეთანხმება.
- d. საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელია მისი ხელმოწერა. ზოგჯერ საჭიროა ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაცია ქვეყნის პარლამენტის მიერ.

კითხვა 31

რას ნიშნავს ხელშეკრულების პროლონგაცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. ხელშეკრულების ცვლილებას.
- b. ხელშეკრულების გაგრძელებას.
- c. ხელშეკრულების შეწყვეტას.
- d. ხელშეკრულების დამტკიცებას.

კითხვა 32

საერთაშორისო კომერციული გარიგება არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მანქანა-მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი (6 თვიდან რამდენიმე წლამდე) იჯარა.
- b. ეკონომიკური შეთანხმება, რომელიც რაიმე გარემოებაზე ორი (ან მეტი) ქვეყნის საჯარო და/ან კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას ასახავს.
- c. ნებართვა რაიმე საქმიანობის გარკვეულ საზღვრებში განსახორციელებლად.
- d. გრძელვადიანი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურების განხორციელებას.

კითხვა 33

რომელ კანონმდებლობებშია მოცემული ხელშეკრულების დადების პრინციპი – „საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა დაცვა“?

აირჩიეთ ერთი:

- a. „უნიდრუას პრინციპებში“.
- b. საერთაშორისო კომერციულ სამართალში.
- c. ეროვნულ კანონმდებლობებში.
- d. როგორც ეროვნულ კანონმდებლობებში, ისე საერთაშორისო სამართალში.

კითხვა 34

ხელშეკრულების სხვა პირობების ნაწილში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ურთიერთმისაღებ სხვა უფლება-ვალდებულებებზე, რომელთა შორის შედარებით გავრცელებულია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყველა ვარიანტი სწორია.
- b. გამყიდველის თანხმობის გარეშე, მყიდველს მოცემული საქონლის რეექსპორტირების უფლება არა აქვს.
- c. მოცემული ხელშეკრულების გაფორმებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადს, ბაჟსა და მოსაკრებელს გამყიდველის ქვეყანაში იხდის გამყიდველი, ხოლო მყიდველის ქვეყანაში მყიდველი.
- d. ხელშეკრულებაში მიეთითება თუ რომელი ქვეყნის სამართლით წესრიგდება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

კითხვა 35

პროდუცენტი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქონლის რეკლამატორი.
- b. საქონლის შუამავალი.
- c. საქონლის მწარმოებელი.
- d. საქონლის რეალიზატორი.

კითხვა 36

შუამავალზე საქონლის გაყიდვის გადაცემის უფლება არ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. უბრალო (მარტივი) უფლება.
- b. უპირატესი უფლება.
- c. მუდმივი უფლება.
- d. მონოპოლიური უფლება.

კითხვა 37

საქონლის ფასი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქონლის ის ფასი, რომლის მიხედვით მომხმარებელი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს.
- b. მყიდველის მიერ ოპტიმალურად შეფასებული საქონლის ფასი.
- c. ფულის ის რაოდენობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ერთეულ საქონელს.
- d. მყიდველის მიერ საქონლის გასაყიდად დაწესებული ფასი.

კითხვა 38

ფასი „სპოტი“ ისეთი ფასია, რომლის მიხედვით:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქონელი აუქციონის ფასში იყიდება.
- b. საქონელი დაუყოვნებელი განაღდებათ იყიდება.
- c. საქონელი არ იყიდება.
- d. საქონელი იშვიათ შემთხვევაში იყიდება.

კითხვა 39

ჩამოთვლილთაგან რომელი სახეობის ეკონომიკური ინფორმაცია არ არსებობს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ბუხჰალტრული.

- b. სტატისტიკური.
- c. ოპერაციული.
- d. ოპერატიული.

კითხვა 40

რომელია მართებული დებულება? სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი :

აირჩიეთ ერთი:

- a. არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი სტრუქტურა.
- b. არის „დიდი შვიდეულის“ ინფორმაციის მიმწოდებელი ერთ-ერთი სტრუქტურა.
- c. არის მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი სტრუქტურა.
- d. ყველა პასუხი მცდარია.

კითხვა 41

რას ნიშნავს სიტყვა „ბიზნესი“?

აირჩიეთ ერთი:

- a. ცალმხრივ საქმიანობას.
- b. მრავალმხრივ საქმიანობას.
- c. ბინძურ საქმიანობას.
- d. მიზანმიმართულ საქმიანობას.

კითხვა 42

რეკლამის სრული სტანდარტიზაცია რიგ პრობლემებს წარმოშობს :

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრობლემა.
- b. დემოგრაფიული პრობლემა.
- c. თარგმნის პრობლემა.
- d. გადაზიდვების პრობლემა.

კითხვა 43

რას ეწოდება ეთნოსი?

აირჩიეთ ერთი:

- a. სხვადასხვა რასის წარმომადგენლობათა ერთობას.
- b. კომპაქტურად დასახლებულ ადამიანთა ერთობას.
- c. სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა ერთობას.
- d. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჯგუფს, შეკავშირებულს ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე.

კითხვა 44

რომელი თვისებები ახასიათებთ ამერიკელებს?

აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი:

- a. დროის ფასი.
- b. უსათუოდ ხელის ჩამორთმევა.
- c. მჭევრმეტყველება.
- d. პრაქტიკულობა.